საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 36 აგვისტო 30 1898 წ. № 36

შინაარსი: კახეთი ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის" კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე.—*** ლექსი ი. ევდოშვილისა.—თხზულებანი მამია გურიელისა (შემდეგი) ივ. გომართელისა.—მგზავრის შენიშვნები ფ. პაჭრიშვილისა.—ეს ძველი ფულია (დასასრული) სოფლის კაცისა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

კ ა ხ ე თ ი.

ვის არ გაუგონია კახეთის სიშვენიერე! ვის არ წაუკითხავს კახეთის აღფრთოვანებული აწერილობა! მარა რამდენიც უნდა იკითხოთ, რამდენიც უნდა ისმინოთ, დაახლოვებითი წარმოდგენასაც ვერ იქონიებთ იმისას, რაც ნამდვილათ არის. საჭიროა მისი თვალით ნახვა, ხელით შეხება, რომ ნამდვილათ დატკბეთ მისი სიდიადით. დიახ, კახეთის ბუნება დიადი, კეკლუცია, მორთულ-მოკაზმულია. არა მგონია, რომელიმე კუთხე ქვეყნისა ისე ერთათ და ისე დაწვლილებით გაიტაროთ თვალის წინ, როგორც კახეთი. არა მგონია რომელიმე კუთხემ ქვეყნისამ ისეთი დიდი და დაუვიწყარი შთაბეჭდილება იქონიოს თქვენზე, როგორიც ამ პატარა კახეთმა. სადაც უნდა დადგეთ, რომელ სოფელშიაც უნდა შეხვიდეთ, თქვენ წინ მაინც იშლება მთელი გალმა მდებარე არე-მარე. და ეს არე-მარე ყოველ საათში, ყოველ წუთში იცვლის თავის ელ-ფერს, თავის გამოხედულებას, და მით კიდევ და კიდევ თავისკენ გიტაცებს. სასიამოვნოა, სასიამოვნო, როცა ყველა ამას უცქერი და თანაც ამაყობ იმით, რომ ეს გვირგვინი ბუნებისა ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი სამშობლოა. მარა როცა კი გამოდიხართ ამ ოცნებიდან, როცა, ბუნების სიმაღლეზით აღტაცებული, დაბლა, დედა-მიწაზე ეშვებით და ქვეყნიურ ცხოვრებას აკვირდებით—აი, მაშინ ეს აღფრთოვანება, ეს განუზომელი სიხარული ნელნელა ჰქრება. წუხართ, რომ ასეთ მორთულ სამშობლოში, ასეთი მოურთავი ცხოვრება ტრიალებს, გიკვირთ, რომ ასეთ განწყობილ ბუნებაში, ასეთი გაუწყობელი სოციალური ურთი-ერთობა დამკვიდრებულა. პირველ ყოვლისა თქვენ ყურადღებას იპყრობს წოდებათა დამოკიდებულება. აქ ერთი მხრით დგას გლეხკაცობა, მეორე მხრით თავადობა, მათი შემაერთებელი რგოლი — აზნაურობა — თითქმის არ არის. ამიტომ ამ ორ წოდებას შორის დიდი ორმო ამოთხრილა, დიდი განსხვავება შემუშავებულა, დიდი მანძილი გაკეთებულა. ჯერ ავიღოთ მათი გარეგანი შეხედულობა. გლეხ-კაცს, რაც უნდა შეძლებისა იყოს, უთუოთ გლეხ-კაცურათ აცვია, მისი ტანისამოსი ერთიანათ განირჩევა სხვების ტანისამოსისგან. ვერც ერთ იმ საცმელს, რაც მას ტანზე აქვს, ვერ ნახავთ თავადისშვილის ტანზე, და აგრეთვე რასაც უკანასკნელი ატარებს, იმას არ ატა-

კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ
სახ. ... ბიბლიოთეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს პირველი. ფეხზე ქალამანი, ტანზე ლურჯი შალ-ვარი, ამ ფერიე ჩოხა, უკან წელზე მოჭყუპნული, ან და, რაც უფრო ხშირია, სალდათის ნაქონი შინელი, თავზე ნაბდის ან ტყავის ქუდი - აი გლეხის ჩაცმულობა. მას საქმის დღესაც ეს აცვია და უქმე დღესაც, არც მეტი, არც ნაკლები. თავადებს კი ან აცვიათ ევროპიულათ ან და ჩერქეზულათ. ასე გაშინჯეთ, მედუქნესაც კი თავისა საკუთარი კოსტიუმი აქვს. ერთი სიტყვით, ჩაცმულობა აღბეჭდავს მის შთამომავლობას და წოდებრივ ურთიერთობას. ეს წმინდა კასტიური წყობილება გახლავს, ამის მზგავსი არსად, არავითარ კულტურულ ქვეყანაში არ არის, არ არის აგრეთვე ამ ჩვენ დასავლეთ საქართველოშიაც. კაცს ასეთ ჩარჩოში ჩასმა, წოდებათა შორის ასეთი კედლის აშენება—ეს ყოველივე მოქალაქობრივი გრძნობის, ყოველივე თანასწორული ლტოლვილების ფეხ-ქვეშ გაგდება და უარის ყოფაა. ადამიანში ადამიანს აღარ ხედავ, პეტრეში პეტრეს აღარ ეძებ, ის პირადობა კი არ არის, ის არის ამა თუ იმ წოდების, ამა თუ იმ კასტის წარმომადგენელი და მეტი არაფერი. ის არის ან „ტეტია“, ან „კნიაზი“. და აი, ამ კალაპოტში მოძრაობს ერთიც და მეორეც. მათ შორის არავითარი მეზობლური განწყობილება არ არის, ერთი მეორისას არ მიდიან, ერთ მეორეს არ დაპატიჟებენ. თავადი გლეხს ხელსაც არ მისცემს. მის სახლში გლეხს ვერ ნახავთ, თუ რამე საქმე აქვს ქუდ-მოხდილი დაბლიდან ელაპარაკება ბალკონზე მდგომ „კნიაზს“. ეს იმას არ ეტყვის მობძანდი, და ის კიდევ ამოსვლას ვერ გაბედავს. და არა თუ თავადი, ღვდლის ოჯახსაც კი არა აქვს გლეხის ოჯახთან ახლო დამოკიდებულება. მათი შვილები არასოდეს ერთი-მეორეს არ მიეკარებიან, ერთათ არ ითამაშებენ, ერთათ არ წავლენ-წამოვლენ. ღვდელი უფრო თავადებს უახლოვდება, მისი შინაურობა თავადის შინაურობას უკავშირდება, მისი შეძლება გლეხის შეძლებას აღემატება, ხოლო გონება ხშირათ თავადისასაც კი გადააჭარბებს. ლაპარაკი? სხვა-და-სხვა წოდება სხვა-და-სხვანაირათ ლაპარაკობს. გლეხი, რანაირათაც უნდა გამოაწყო, როგორც კი დაილაპარაკებს, მაშინვე შეატყობ გლეხიაო. აგრეთვე თავადი და ღვდელი. ქცევა, მიმოხვრა, ხასიათი, ზრდილობა სხვა-და-სხვანაირი აქვთ. ერთი სიტყვით, ყველა ნიშნები მოწმობენ, რომ აქ კასტიური განწყობილებაა და არა მარტო წოდებრივი. ხოლო ადამიანური ურთიერთობის კვალიც ხომ არ არის და არა. რასაკვირველია, ამ ახიბულ-დახიბულ ცხოვრებაში უმდაბლესი და უსუსტესი საფეხური გლეხ-კაცობას უჭირავს. მის მაღლა, მის ზურგზე, დგანან დანარჩენნი. გლეხი იმდენათ შეძლებით არ არის დაჩაგრული, რამდენათაც სულიერათ. იმას მაღლა ვერ აუხედავს, წელი ვერ გაუსწორებია, გონება ვერ გაუმახვილებია. თავმოყვარეობა, თავის-თავის პატივისცემა, მასში მილეულია. მას აკლია თავმომწონეობა—ეს უდიდესი ღერძი ადამიანობისა. მართალია თავადებსა და მათ შორის უკმაყოფილებაა, კიდევაც ძულთ ისინი, მარა ამით ის მონური შეხედულობისაგან მაინც ვერ განთავისუფლებულა. გლეხის შრომა, მუყაითობა და ბეჯითობა სამაგალითოა. ფულის გემოს ისე გაუტაცია, რომ გლეხის დედა-კაცებიც კი დღეში ორ-სამ შაურათ მუშაობენ თავადთა ბაღებში. მოთხოვნილების გაფართოვება ქალებს უფრო ემჩნევათ, ვინემ კაცებს. მარა ხან-და-ხან ამას თურმე პოლიციური ზომით საზღვრავენ. ერთ სოფელში მამასახლისმა ყველა ქალს ჩაოართვა ახალი ნაყიდი ტალმები, თავადის ქალებს ნუ ბაძავთო!.

თავადები? ამათ მხოლოთ ერთმანეთან აქვთ დამოკიდებულება. მათ შორის იშვიათია ისეთი, რომელიც სასწავლებელში არ ყოფილიყოს. გათავებით კი, რასაკვირველია, იშვიათათ გაუთავებიათ, მარა სამაგიეროთ რუსული ენა გამოყოლიათ. მათი სასაუბრო ენა ქართული არ არის. მათ ოჯახებში, ხშირათ, ბავშებსაც კი აკრძალული აქვთ ქართულათ ლაპარაკი. საკვირველია, რომ ბევრს ქართული საუბარი აღარც კი ეხერხებათ. ერთ ყვარელის თავადიშვილზე მითხრეს, ქართული ერთი ღერი არ იცისო, თუმცა არც სკოლაში ყოფილა და არც თავის სოფელს გაცილებიაო! აქედან ადვილი წარმოსადგენია თუ რა ნიადაგზეა მათი ოჯახებიც. როგორიც სოფელია ისეთია ქალაქიც. თელავის ეგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებას თავადობა შეადგენს და აქ ქართულს ძალიან, ძალიან იშვიათათ გაიგონებთ. ერთი სიტყვით, კახეთის „კნიაზი“ და ქართული ძალიან შორი-შორს არიან. ეს კიდევ ცოტაა, მას არც მოქალაქეობა მოწონს, თელავში მცხოვრებ თავადებს იმდენი უდავიდარაბიათ, რომ ყველა ის უბნები, სადაც კი მათი სახლებია სოფლისთვის მიუწერიათ. ასე რომ თელავი სანახევროთ გასოფლებულია. თელავი ქალაქი და თელავი სოფელი. პირველის პატრონობა სომხებს დარჩენიათ, მეორის კი ქართველებს, ამათ, რასაკვირველია, ქალაქის საქმეებში აღარავითარი ხმა და გავლენა არ აქვთ. ყველგან იმას მეცადინეობენ, რომ სოფელი გააქალაქონ, მეტი მოქალაქეობა შეიტანონ, ხოლო კახეთში... ჰო, საკვირველია, საკვირველი კახეთი. ამის მზგავს ევრსაით ევრაფერს ვერ ნახავთ. ის მარტოთ მარტო დგას, როგორც თავის საუცხოო ბუნებით, ისე თავის „კნიაზური“ წყობილებით...

ნ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲠᲘᲠᲝᲑᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ. ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲐᲠᲔᲓᲒᲘᲜᲐ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲗ.

—

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲣᲬᲧᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲞᲐᲢᲠᲝᲜᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲡᲬᲛᲔᲜᲓᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐᲝ.

—

Ქ. ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ 600 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲝᲑᲚᲘᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲚᲐᲗ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲘᲦᲘᲐ.

—

ᲮᲐᲠᲗᲣᲮᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲜᲘᲐᲜ ᲝᲠ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲛᲔᲤᲔ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ. ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲒᲔᲑᲐᲗ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡ ᲡᲘᲜᲝᲓᲡ 5,000 Მ. ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲘᲐ.

—

Წ. Კ. ᲡᲐᲖ. ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲐ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲐᲚᲛᲖᲠᲓᲔᲚᲘ Ბ. ᲒᲘᲒᲝ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚ ᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲐᲛ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲐᲡᲝᲜ-ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗ-ᲐᲖᲜ. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲗ. ᲫᲕᲔᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ.

—

ᲐᲛ ᲟᲐᲛᲐᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ ᲘᲑᲐᲠᲔᲑᲡ. ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲔᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ, ᲐᲛ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲜ, ᲛᲐᲠᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

—

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲐᲚ-ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ ᲡᲝᲛᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ 35 ᲐᲗᲐᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲗ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲐ. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲩᲐᲛᲝᲣᲠᲗᲛᲔᲘᲐ ᲡᲝᲛᲮᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ, ᲡᲘᲔᲠᲪᲘᲗ 19 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲔᲡᲔᲢᲘᲜᲐ, ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲗ.

—

ᲐᲔᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ ᲝᲠ—ᲐᲮᲐᲚ-ᲒᲐᲖᲓᲐ ᲡᲝᲛᲔᲮᲡ ᲨᲔᲔᲙᲠᲘᲑᲐ 30 ᲡᲝᲛᲮᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲡ. ᲔᲡ ᲒᲐᲘᲒᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ“ ᲛᲝᲗᲐᲕᲔᲜᲘ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲡᲪᲐ. ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ ᲗᲘᲗᲝᲡ 5 Მ. ᲯᲐᲠᲘᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲘᲢᲐ.

—

„ᲐᲮ. ᲛᲘᲛᲝᲮ.“ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲥ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲚᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲔᲜ ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲔᲜ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲝᲒᲝᲓᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ, ᲫᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲐᲥᲕᲗ 18 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜ.

—

ᲑᲐᲗᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ: 1807 Წ. 2,000 ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ, 1867 Წ.—4970 ᲛᲪᲮ., 1872 Წ. 1783 ᲛᲪᲮ., 1873 Წ.—4970 ᲛᲪᲮ., 1877 Წ.— 2,500, 1878 Წ.—2000, 1881 Წ.—8500, 1890 Წ.—15400, 1894 Წ.—18123 ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ 30,000 ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ. ᲑᲐᲗᲝᲛᲘ ᲫᲚᲘᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ, ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲛ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲙᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲚᲘᲐ. ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝ, ᲛᲔᲗᲣᲗᲮᲛᲔᲢᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲔᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲛᲐ. 1564 Წ. ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲛᲐ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲐ ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲡ, ᲛᲐᲠᲐ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲘᲡᲔᲔ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲡ. 1609 Წ. ᲛᲐᲛᲘᲐ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲛᲐ ᲮᲔᲚ-ᲐᲮᲚᲐ ᲬᲐᲐᲠᲗᲕᲐ ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲡ, ᲛᲐᲠᲐ ᲔᲡᲔᲪ ᲪᲝᲢᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ. ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲛᲐ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲜ ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ 1878 Წ. ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲔᲠᲗᲐ.

—

ᲥᲐᲚᲐᲥ ᲑᲔᲠᲜᲘᲡ (ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ) ᲗᲕᲘᲗ-ᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ: ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲨᲐᲕ-ᲛᲣᲨᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ 4 ᲤᲠᲐᲜᲙᲘᲡᲐ (ᲛᲐᲜᲔᲗ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ), ᲮᲝ. ᲚᲝ ᲛᲣᲨᲐ-ᲮᲔᲚᲝᲡᲐᲜᲗ ᲐᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ 5 ᲤᲠᲐᲜᲙᲘᲡᲐᲝ. ᲐᲛᲐᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ—„ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ (ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ) ᲓᲦᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ“. ᲐᲡᲔᲗᲘᲔᲕᲔ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ ᲨᲔᲛᲝᲘᲦᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲛᲐ: ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲛᲐ, ᲚᲝᲖᲐᲜᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲮ.

—

ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲢᲗᲐᲒᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔᲗ ᲗᲚᲘᲓᲔᲜ, ᲧᲐᲚᲑᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ: ᲔᲡ ᲨᲔᲣᲗᲮᲕᲐᲕᲡ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙ ᲐᲜᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲔᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲐ. ᲐᲜᲠᲘᲛ ᲐᲚᲘᲐᲠᲐ ᲔᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲐᲢᲣᲡᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ. ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲛᲐ ᲑᲣᲓᲔᲠᲤᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲜᲠᲘᲡ ᲩᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲐ, ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲙᲝᲕᲔᲜᲘᲐᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲜᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲗ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲐᲡᲐᲚᲐᲒᲛᲐᲕᲐᲗ. ᲐᲮᲚᲐ ᲔᲯᲕᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲐ, ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲠᲔᲘᲤᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲮᲔᲚ-ᲐᲮᲚᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲨᲘᲜᲯᲝᲡ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

დ. ხონი. ეს დაბა რომელიც ქვემო იმერეთის და აღმოსავლეთ სამეგრელოს სავაჭრო ცენტრს შეადგენს, დღეს დიდ ნაბიჯს შვრება, მაგარს ფრთებს ისხამს და მზათ არის ყოველი სიძნელე გადალახოს; ძირიანათ მოსპოს ის, რაც ახლანდელ დროისთვის ძველი, გამოუსადეგარია, რომელიც კარგა ხანია შეირყა და ფესვებს უთხრის მას. ის მზათ არის ახალი ცხოვრების უღელში გაებას, ახალ ხანას მაგრათ მოხვიოს ხელი და გასწიოს იქით, საითაც ევროპის მოწინავე ერები კარგა ხანია გაექანენ და კიდევაც უმაღლეს წერტილს ეკონომიურათ განვითარებისას მიაღწიეს. ეს პირველ ყოვლისა ფულისთვის იბრძვის. ფული და ხონელი საარაკო მეგობრები არიან, ასე გაშინჯე ურთმანეთოთ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. ხონელი ფულისკენ მიილტვის, ფულიც ხონელისკენ. აქედან ცხადია, რომ ხონელიც იქ უნდა გაჩნდეს, სადაც ფულია. მართლაც, არ არის ისეთი კუთხე საქართველოსი და თვით შავი ზღვის პირათ მდებარე რუსეთის საპორტო ქალაქებისა, სადაც ხონელი არ იყოს. ამპარტავნობა, თავის მოტყუილება ხონელთან ვერ მოთავსდება, ხონელის ბუნება მას ვერ ეწყობა. ის გაკვირვებით, ალმაცერათ უყურებს ამპარტავანს, თავის მატყუარა ადამიანს და ასე ჰრის: „მოდი და უყურე იმ ბრიყვს, სახლში ლუკმა მჭადი არ მოეძებნება, ჯიბეში თაგვები დაურბიან და ისე მოაქვს თავი თითქო მილიონერი იყოს“-ო. მართლა, ხონელი ყოველ კუთხეში მოიპოვება, მას ყოველ გვარ ხელობაში შეხვდებით, ის თუ სოფელში მიწის მუშაა, თვით დ. ხონში სხვა-და-სხვა საქონლის მოვაჭრეა. იმას შეხვდებით: მეფართლეთ მიკიტნათ, მჭედლათ, მკერვლათ, თევზის მოვაჭრეთ, სხვა-და-სხვა გვარ საქონლის ფეხზე მოვაჭრეთ; მაგალითათ: მეკვერცხეთ, მეხილეთ, მებატეთ, მექათმეთ და სხვ. ბათომში და სხვა შავი ზღვის პირა ქალაქებში მას რომ დღეს უბრალო მუშათ ხედავ, კურტან მოკიდებულს, ხვალ ფულიან კაცათ ინათლება. კვერცხით ვაჭრობის წყალობით ხონს შორს გავარდნია სახელი და იმერლები ხონელებს მეკვერცხეებს ეძახიან. არც ხონელი დედაკაცი ჩამოუვარდება ხონელ მამაკაცს; აქაურ მამა-კაცს არ შეუძლია უთხრას თავის ცოლს ან მოსწრებულ ქალიშვილს, მე გარჩენო. არა, აქაური ქალი თავისით ირჩენს თავს, ხშირათ მთელ ოჯახს ის უდგია ბოძათ. საჩოხე შალი, აბრეშუმი, შინაური ფრინველი, დარაიები, შალის წინდები, ქუდები, ყველი, კვერცხი და სხვ.—აი აქაური ქალის ნაწარმოები. მას ბაზარზე გამოაქვს და კარგ ფასათ ჰყიდის. თითო აქაური პარასკეობა (ბაზრობა) რამდენსამე ათას მანეთს ატრიალებს. ეს ფული უმეტეს ნაწილათ სოფლებში იფანტება. აქაური მოვაჭრე ქალების ერთი ახირებული ჩვეულება პირის ახვევაა, მარა ეს არ არის მთლათ ინტერესს მოკლებული; ამ ჩადრის წყალობით, ის მამაკაცს არ გაატანს თავის ნაშრომს გასაყიდათ. ახალ გაზდას, გასათხოვარ ქალს, რასაკვირველია, ერცხვინება პირ ახდილათ ნივთებით დატვირთული გამოვიდეს და ივაჭროს, რის გამოც პირს იხვევს. პარასკევს თუ პირ ახვეულ მოვაჭრეთ ხედავ აქაურ ქალიშვილს, მაგიერათ კვირას ის ევროპიულათ მოკაზმული თავის ნაცნობებთან ბულვარში სეირნობს და სიამოვნებას ეძლევა. აქაურ კარ-ჩაკეტილობასაც ძარღვი უწყდება და ქრება. აქ, თუ მამაკაცი გადის გარეთ სავაჭროთ, არც დედაკაცი რჩება მუდამ კერასთან. ამ ოთხ-ხუთ წელში აქაურმა აბრეშუმის ამოსაღებ—სართავ ფაბრიკებმა ქალიც გამოიყვანა ეზოდან სამუშაოთ, სწორეთ ევროპიული ფაბრიკა მოგაგონდება, როდესაც ხედავ ას-ორას ჩამწკრივებულ 15—16 წ. ქალს, რომლებიც ელექტრონული სიჩქარით ატრიალებენ ჯარას. მეაბრეშუმობას ძალიან ფართო ალაგი უჭირავს ხონელის ეკონომიურ წარმატებაში. მეაბრეშუმობის წყალობით თვით ხონში და მის ახლო სოფლებშიაც დღითი დღე ფაბრიკები იხსნება.

ხონელი თუ ეკონომიურათ წელ გამაგრებულია, არც სწავლა-განათლებაში უჭირავს ურიგო ალაგი. სასწავლებლების რიცხვიც თან-და-თან მატულობს. ახლა აქ არის: ორ-კლასიანი სავაჟო სასწავლებელი,—სამრევლო სკოლა, ორ-კლასიანი საქალებო სასწავლებელი, საქალებო პროგიმნაზია და სამასწავლებლო სემინარია. ამ სემინარიას ერთი დიდი ნაკლი აქვს, რომლის მიზეზი თვით მოსწავლეებია. ეს არის გადაჭარბებული კარ-ჩაკეტილობა, რის გამოც არა ერთი და ორი ახალგაზდა გამოეთხოვა წუთი-სოფელს; აქაურ მოწაფეს ადამიანის ფერი არ ადევს; ჭლექი და სხვა ამ გვარი ავათმყოფობა ხშირი მოვლენაა და ეს ხდება ისეთ ადგილს, როგორიც ხონია. ეს რუსეთში რომ „Затворничество“ იყო, იმას წააგავს. ახლა ერთათ ერთი რკინის გზაა საჭირო ხონისთვის, რომ ყირამალა გადმოტრიალდეს, ვაჭრობას ფრთები შეასხას და მსოფლიო ბაზარს დასუნოს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ხონელი და ფული საარაკო ძმობილებია თქო. მაგრამ საუბედუროთ გამდიდრება ბევრ აქაურს სიძუნწეთ გადაქცევია, ამის მაგალითი არა ერთი და ორია. დიდი ხანი არ არის, რაც აქ ერთი ამ გვარი ძუნწი მდიდარი გაუდგა აბრამის ქვეყნისკენ, რომელიც, ასე გაშინჯეთ, დამ-

პალო ტარანით ცხოვრობდა. სამაგიეროთ მის ქონებაზე დღეს ნათესავები მეჯლისს ეწევიან.

ნივთიერათ ხონს, როგორც ვხედავთ, თვალსაჩინო ალაგი უჭირავს მთელ იმერეთში, და გასაკვირველიც არ არის რომ მალე გონებრივათაც საყურადღებო გახდეს. ვისურვებთ, რომ ხონელს თავის ნივთიერ სიმდიდრესთან გონების სიმდიდრეც სატრფიალო საგნათ გაეხადოს.

გედა. შ—ია.

—

ს. სვერი. (შორაპნის მაზრა) ამ სოფელში ითვლება 16 კომლი მცხოვრები, ამათში აზნაური და სასულიერო უწყებისაა 10 კომლი, დანარჩენი გლეხებია გვარათ ცუცქირიძეები. ამ გლეხებს უფრო მეტი ადგილ-მამული უჭირავთ, ვინემ ამათ მეზობელ სოფლებს, მარა ეკონომიურათ სხვა მეზობელ სოფლებზე დაბლა დგანან. რა არის მიზეზი? იქნებ ზარმაცი იყვნენ? არა, სრულებითაც არა, აქ სხვა მიზეზებია და არა სიზარმაცე. პირველი მიზეზია ის, რომ ვენახები ფილოქსერა-მილდიუსაგან განადგურდა. ეს სოფელი ერთ დროს შვენიერ სურათს წარმოადგენდა თავისი დაბურული ვენახებით ახლა კი იმათი ადგილი სიმინდს დაუჭერია და სიმინდის მუშა კი დღეში ორ შაურზედაც ვერ გამოვა. მეორე მიზეზი ხალხის დაქვეითებისა გახლავს ადგილ-მამულების გამო ამტყდარი დავა-საჩივარი, ცემა-ტყეპა, შური და სხვა, რომელსაც ერთმანეთის ჩხვა და ხოცვა მოსდევს. აქ კი აბლაკატები და მოსე მწერლებისთანა კაცები ჯიბეს ისქელებენ, ხალხი კი ზნეობრივათაც ეცემა და ნივთიერათაც; წინსვლელობის მაგიერათ უკან დაიწიეს, და ლამის მიწასთან გაასწორონ ერთმანეთი. აი, ერთი მაგალითი: ერთმა სიმინდი დათესა, მეორემ მოტეხა, მესამემ წაიღო, მეჭმა კი აბლაკატების და მოსე მწერლების რიგია. ამ ორ მოლვაწეთ არც მებატონის მოურავები დაუვარდებიან. ესენი ნიადაგ წყლის სათავეში დგანან და ამღვრევენ, რომ თევზს უფრო მარდათ დაიჭირონ. მართალია აქ გლეხობაი მეტ ნაწილს თავისუფალი ადგილი აქვს, მარა მოურავისთვის საკმარისია 100 კომლში ერთი გლეხის მამული ერიოს საბატონო, ის მაინც ყველასაგან ისარგებლებს. აქ მე უფრო ერთი მოურავი მყავს სახეში. გლეხ ცუცქირიძეებს აქვთ ერთი საერთო მამული სახელწოდებული ზედაკალოთ, რომელიც უნდა გაყოფილიყო თექვსმეტ ნაწილათ, კიდევაც გაიყო, სამნები ჩაჰყარეს, ვის რა მონაწილეობა ჰქონდა გამოიწერეს, ათ-ათი თუმანი ჯარიმა დაწერეს, იმისთვის ვინც წინააღმდეგი გახდებოდა, მთელ ორ კვირას ეწვალენ და ახლა კი მოურავების წყალობით ამ შრომამ ამათ ჩაიარა. აგერ რვა წელიწადი მიდის, ტყე ჰკაფეს იმ მძლავრ პირებმა, რომლებსაც ან ფულით ჰქონდათ ღონე და ან იარაღზე იყურყბოდენ, სუსტებს კი ძაღლოთ პირები და შეჰყურებდენ. როდისმე ეს თექვსმეტი ათი თუმანიც აბლაკატის ხელში ჩავარდება. ეს მაშინ ხდება როცა ერთმანეთს ამოხოცენ მონაწილეები, მაგრამ მოურავი არც ამითი დაკარგავს რასმე. ის ყოველთვის და ყველასაგან ქრთამს იღებს თავისუფალია გლეხი თუ არა. ამ ხალხს ის ვერ გაუგია ჯერ, რომ თავისუფალ კაცს თავისი მონაწილეობა დაგავორებში უწერია და ის ტყვილათ ხარჯავს ქრთამს მოურავთან. მოურავი მარტო გლეხებს კი არ აბრმავებს, არა, ბატონებსაც ამდღეს აყენებს. ვიცი ისეთი გლეხი რომელსაც შვიდი რვა წლის ლალა არ მიუცია ბატონისათვის და მოურავს ქრთამი აუღია, იმაზე მეტი რაც ბატონს ერგებოდა; ბატონს კი ატყუებს არ მაძლევსო, არააქვსო. ასე ერთიც ღარიბდება და მეორეც. როდის იქნება ის ნეტარი დრო, როცა ჩვენშიაც მოვიდეს გამმიჯვნელი კამისია და მით გადავრჩეთ მოურავებისა და ამათ გვარკაცების მცარცველობას.

გასულ თვეში აქ გლეხ ცუცქირიძეებმა ერთ პატარა მამულის გამო დავა ასტეხეს, დაერივნენ და სასიკვდილოთ დალახეს ერთმანეთი. საჩხერის მსაჯულმა გამარჯვებულებს სასჯელი გადაუწყვიტა, დალახულები თითო თვეს ლოგინში იწვნენ. საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში გადაიტანეს. სადაო მამული სულ ღირს ხუთი თუმანი და დავა კი ხუთასიც დაუჯდებათ, ხოლო შური და სიმძულვარე საშვილი შვილოთ რჩება.

ეკონომიური დაქვეითების მიზეზი არის კიდევ უზომო სარგებელი. აქაური ფულის პატრონები იღებენ სარგებელს თვეში თუმანზე 30—60 კაპეიკს. რასაც შოულობს სარგებელში აძლევს და თავნი ვალის გასტუმრებას ველარ ახერხებს, ვიცი ისეთი მაგალითი რომ გლეხმა ოცი წლის წინეთ ფული ისესხა და დღესაც ისევ მართებს.

ხვახვალაშვილი.

კვირიდან კვირამდე

ისევ თფილისში — ჩვენში — პარიჟში — მიწოლა-მოწოლია — და მერე ვისთვის?..

Ისევ თფილისში! ვერ წარმოიდგენთ, რანაირათ მიმიხაროდა, როცა ამ ერთი თვის წინეთ თფილისიდან მივდიოდი. ვერ წარმოიდგენთ, რანაირათ მომი-

ხაროდა, როცა ამ ერთი კვირის წინეთ თფილისისაკენ მოვდიოდი. თუ კი კახეთის ბუნება თქვენ უცებ დაგათრობთ და დაგაბნედებთ, სამაგიეროთ თფილისი გამოგაფხიზლებთ და გზაზე დაგაყენებთ. პროვინციაში თქვენ ის არა ხართ, რაც იყავით, იქ თქვენ თავის თავს ჰკარგავთ, ქუცმაცდებით, წვრილმან რასმეს მიედმოედებით. მხოლოთ აქ, თფილისში, ხელ-ახლა პოულობთ თავის თავს, ხელ-ახლა მთელდებით და ერთ არსებათ ხდებით. სოფელი გაძინებს, გასუსტებს, გაზარმაცებს, ქალაქი კი გამოძრავებს, გამხნევებს და გამამაცებს. იქ რამდენიც უნდა იმოგზაურო, ყოველგან და ყოველთვის ერთ კუთხეში ხარ, ერთ ალაგას იმყოფები და შენი გონებაც ამ ვიწრო ტერიტორიით არის მოცული, აქ კი, ერთ ოთახშიც რომ იჯდე, მაინც გრძნობ რომ მთელ საქართველოში ხარ, მთელ მხარეს წვდები და შენი გონებაც შორს, შორს მიიმართება. და მართლაც, საქართველოს ცხოვრება თუ სადმე ჩქეფს ისევ თფილისში ჩქეფს, მისი ავი და კარგი თუ სადმე იხატება, ისევ თფილისში იხატება, მისი გულის ძგერა თუ სადმე ისმის, ისევ თფილისში ისმის. რა არის რომ ყველა ამას ზეწარი აქვს გადაფარებული, ბურუსი აქვს მოხვეული, ჯანუშია გახვეული. ერთ შვენიერ დღეს ჩვენი მზეც ამოაშუქებს, თფილისის არე-მარესაც გაანათებს და მის ჯანუ-ბურუსსაც ბოლოს მოუღებს. და აი, მაშინ ნათლათ გამოჩნდება ნამდვილი, პირდაბანილი, მომცინარე თფილისი. მაშ შეიყვარე, მკითხველო, ეს ჩვენი დედა-ქალაქი, შეიყვარე მისი მერმისისთვის მაინც...

*
* *

მარა ეს კია რომ, ეს ჩვენი დედა-ქალაქი ძალიან ნელი ნაბიჯით მიცოცავს. პროვინციაში სულის მელანდებოდა და მაჯიქრებდა: ვინ იცის ახლა რა ამბები ხდება იქ და მე კი მის შესახებ არა ვიცი რა-მეთქი. ამ ფიქრმა მოსვენება არ მომცა, სული და გული შემიწუხა, ბევრი ველარ მოვითმინე და გულის ფანცქალით აქეთ გამოვსწიე. ჩამოვედი ქალაქში, მივიხედ-მოვიხედე, ძიებაურ-მოვაუურე და აღმოჩნდა — რა? — რა და არაფერი გასაკვირველი და გასაოცარი, მას არც რამე მომატებია, არც რამე მოკლებია, არც ვინმე გაუკვირვებია და არც თვითონ გაკვირვებულა. ის არის ისე როგორც იყო და ვინიცის რამდენხანს კიდევ იქნება ისე როგორც არის. ასე გაშინჯეთ, თფილისს ერთი თვის განმავლობაში ერთი ახალი ამბავიც ვერ შეუთხზავს, თუმცა ის ოცნების და ფანტაზიის ხალხით გაუთქმულია. საღაც კი გაექანები ყოველგან გესმის все благополучно-ეო. და თუ ამაში ეჭვი შეიტანე მაშინვე მოგახალებენ: თფილისი პარიჟი ხომ არ გგონიათ! ოღონდაც რომ არა, სად პარიჟი, სად თფილისი, შუაში დიდი მანძილია. მარა ღმერთმა მთლათ არ გაგვწირა, ერთი მზგავსება მათშორისაც ყოფილა. პარიჟის ბურჯებმა ქვეყანა გადააყრუეს ჩვენ ვართ, რაცა ვართ, როგორ გვიბედავენ წინააღმდეგობასო. ახლა კი ყურები ჩამოჰყარეს და მიიმალ-მოიმალენ. თფილისის ბურჯებიც, მოგეხსენებათ, მათ ბაძავენ, თუმცა არ ამხელენ, მარა გულში კი ბაქი-ბუქობენ: ჩვენ ვართ ბჭენი საქართველოისა, და როგორ თუ გვეწინააღმდეგებიანო. მარა ახლა ისინიც ყურებ-ჩამოყრილი და თავ-ჩაქინდრული დადიან. აი რა ცვლილება მოხდარა ჩვენში —პარიჟში...

*
* *

თითო ასეთ საოცარ ამბებს ჩვენი ცხოვრება ყოველთვის გვაწვდის. ვის არ მოეხსენება ის აურზაური, რომელიც ერთხელ „ევერიის“ ფურცლებზე ააყენეს. ერი, ბერი, აზნაური, გლეხი, ნასწავლი, უსწავლელი ყველა გამოლანძღეს, ყველა სამარცხვინო ბოძზე გააკრეს, არავინ არ დაინდეს. და მერე რატომ? რატომ და ამდენი ხანია აქა ხართ და საქართველო კი ვერ იხსენითო! და მერე რა აღვილი ყოფილა მისი ხსნა, რა უცებ შეძლებულა ქვეყნის აშენება! შეადგინე ამხანაგობა, გახსენი დუქანი, დაარქვი დეპო და ივაჭრე—მორჩა და გათავდა. და ჩვენ, უგუნურნი, ამ თილისმას ვერ მივაგენით, ამ მეცხრამეტე საუკუნის საოცრებას ყურადღება არ მივაქციეთ. ვითომ და გასალანძღავი არ ვიყავით თუ? ითქვა—ასრულდა. ახალ მოციქულებმა დიდის ზეიმით და ხრიალ-გრიალით დაარსეს ეს სანატრელი დეპო, დაარსეს ერთ შორეულ კუთხეში, (ქიზიყში), ჯერ ეს ვიხსნათ და მერე მთელი საქართველო მუხლ-მოდრეკით მოგვმართავს: ჩვენც გვიხსენიო. ასე ჩაგეძახეს ჩვენ და ამასვე ვიძახოდით, ასე ჩასძახეს ყველას და ამასვე იძახოდა ყველა. მარა ხელს, სრულიად მოულოდნელათ, თავზარი დაგვცეს, ქიზიყის დეპო ირყევა, მოგვეშველეთო. გავწიეთ ძისაშველებლათ, და რას ეხედავთ: ამ ერთ დუქანს შემოდგომიან ერთი მხრით ქიზიყელნი, ოპოზიციათ ბეძდგარნი, მეორე მხრით თვით დეპოს მოციქულნი და აქვთ ერთი მიწოლია-მოწოლია გამართული. მართალია ერთი ალთას მიიწევა, მეორე ბალთას, მარა ორივე კი ერთ და იმავე საგნისთვის მუშაობს: რამენაირათ ჩქარა გავასვენოთ დეპოვ. გამგეობა უარს ამბობს გამგეობაზე, ოპოზიცია უარს ამბობს სამაგიეროს შოვნაზე და ასე წყალს ატანენ ორიოდ თოფ ჩით-ნარმას. აი, ასე აშენებენ ჩვენში ქვეყანას. ამას უწოდებენ ჩვენში მოღვაწეობას...

*
* *

თუ დეპოს კაცები ასე ახირებულათ მოღვაწეო-

ბენ სხვისი ჯიბისათვის, სამაგიეროთ კერძო პირები ჩინებულათ მოღვაწეობენ თავისივე ჯიბისათვის. ყველამ იცის, რომ კაპიტალისტები ფულს იგებენ და კიდევ რამდენს, ასიათასობით და მილიონობით. მარა ვექეობ, რომ ყველამ იცოდეს თუ ვისი ოფლით და სისხლით იქმნება ეს ამოდენა შეძლება. აი, რას წერს ბაქოს გაზეთი იქაურ მუშების შესახებ: მუშაში არავითარ გონებრივ და ზნეობრივ მოთხოვნილებას არ ცნობენ, მისთვის არ არის არც სკოლა, არც ეკლესია, არც ბიბლიოთეკა. ცხოვრობს ის მუდამ გათხუპნული, მუშაობს მონაზე უფრო, მოკლებულია ცხოვრების ყოველსავე სიამოვნებას და კიდევ მასში არ ხედვენ ადამიანს! მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხ-ყოფენ, გინება და ცემა ფირმის ადმინისტრაციის ჩვეულებრივი საშუალებაა, დაწყებული დიდათ ნასწავლი მმართველისაგან და გათავებული უბრალო ნოქრით. მცირე დანაშაულისთვის, მცირე უყურადღებობისთვის მას აჯარიმებენ, და თუ ამ დაუძლურებულ-დაჩაგრულ არსებამ წინააღმდეგობა განაცხადა, მას მაშინვე ითხოვენ... და ყველა ეს არის არა უბრალო ფანტაზიის ნაყოფი, არამედ ნამდვილი მოვლენა, რაც რევიზიამ აღმოაჩინა და დაამტკიცა. აი, რა მდგომარეობაშია ჩვენებური მუშა, აი, რანაირათ ითელება მისი პირადობა და იყვლიფება მისი ძალ-ღონე. და მერე ვისთვის?...

* * *

ჩუ! გლოვის ზარი მოარღვევს ჰაერს,
სევდის ღრუბელი გადაატარა,
ძირს მიდუმებულს დაჰგმინა სოფელს,
და გაღმა ხევში ხმა მიამკვდარა.
გესმით გალობა?! ეს კუბო მიაქვთ,
მიაქვთ ტანჯული გვამი მუშისა,
მოკვდა მარჯვენა პატიოსანი
შრომა წამების მოციქულისა!
მოისვენებენ მაშვრალი მკლავები,
ველარ შეაკრთობს სიმწმარი იმას,
უსახლ-უკარო მიწის წიაღში
დაემალება სიცხეს და წვიმას!
და იქით მიაქვთ ახლა მეგობრებს
თვით დაჰკვალობენ სამგლოვიაროს,
ეი! ძმობილნო, მითხარით: კიდევ
რამდენმა უნდა გამოიაროს,
ამ ტანჯვის გზაზე, გოლგოთის ჯვარით,
ოფლით ჩაწნული გვირგვინით მკერდზე,
კიდევ რამდენ გულს მიუტანთ საფლავს
შუა გაფობილს ცხოვრების გელზე!

ი. ევდოშვილი.

თხზულება მამია გურიელისა.

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა. *)

მეორე ჯგის პატრიოტულ ნაწარმოებს, რომელშიაც პოეტი ცდილობს გულგატეხილი პატრიოტის დახატვას, ეკუთვნის დიდი პოემა „რაშიდ ვარდან ოღლი“. ზევით, როცა „პოეტი და ჩვენების“ შესახებ გვქონდა ლაპარაკი, ის აზრი გამოვთქვით, რომ მამიას პოეტური ფანტაზია სუსტია, მას დიდი პოემების შექმნის ნიჭი არა აქვს მეთქი. მთელი ეს მეორე პოემა ამ აზრის საუცხოვო დამამტკიცებელია. შუბლშეჭმუხვნილი რაშიდი სახის იმგვარი გამომეტყველებით, რომელიც „შინაგან ძრწოლას, დარდიანობას მოწმობს, ზღვას გადაჩერებია და ელის: როდის იქნება, მკითხველმა დამინახოს, რომ დავიწყო ბარემ ჩემი მონოლოლიო. დავინახეთ, იმანაც დაგვინახა და მოჰყვა თავის ლოცვას, რომელშიაც ლოცვის მეტი ყოველისფერია. გგონიათ, რომ მ ს სიტყვებშიაც იგივე სევდა იქნება ჩასკვნილი, რომელიც მის სახეზე არის აღბეჭდილი, მაგრამ ტყუვდებით:

სიამოვნებით მეტის მეტითა
სისხლი მიდუღავს, გული მიხტება.

გეუბნებათ რაშიდი. როცა ამგვარათ დაგვამშვიდა და თუმცა სახე დაღვრემილი მაქვს, მაგრამ ჩემი ჯავრი ნუ გაქვსთ, ეს ისე მომდისო, ზღვას ეკითხება სამშობლოს ამბავს და, პასუხი რომ არ ესმის, წამოახტება ცხენს, ქუდს გატყორცნის და ქოჩრის გლეჯით დაეშვება ძირს, შეკურდება ზღვაში და ისევ გამხიარულდება:

სიმღერას იწყებს, ხმა ყელში დგება

---

*) იხ. „კვალი“ № 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის ალსაკრძალვაზედ,

ერთი მეორეანეთ, ეს რომელი საკიცხოთა წეერია, რომ ერთ წამს ნაღლიანათ იბღერება, მეორე წამს მღერის, მესამეს ქოჩორს იგლეჯს? დაიღალა რაშიდი ტურეთ, ღონე გამოელია. აქ პოეტი მალავს მას ფაქეენი მხედველობიდან და ეუბაზეთის ბუნების მეტათ სუსტი აღწერის შემდეგ, რომელიც სიტყვათა ცალიერ კრებას წარმოადგენს და ალბაზეთის ბუნების ნათელ წარმოდგენას არ გვაძლეეს, პოეტი ჩვენ თვალწინ ფარდას ახდის და ერთ კოშკში ლამაზ ეიესაა და რაშიდს ერთათ დაგვანახვებს. სრულიად გაუგებარია, რისთვის დაჭირდა პოეტს მთელი შვიდი წერა თავი? დანარჩენ პოემასთან მას არაეითარი კავშირი არა აქეს, მასში არ არის კვანძი პოემ-სა, არ არის სრულად დახასითებული უმთავრესი გმირი; მოგვაჩვენა პოეტმა სერზე მდგომარე, ჩაატუნა ზღვაში და ისევ დამალა, ბარემ რაღაზე აჩენდა? ეს შვიდი თავი რომ არ ყოფილიეო, პოემას არა დაკლდებოდარა, რაშიდიც უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზე. ახლა კი, სანამ კარგი მხრიეთ გავეეცნობოდა, თავისი ცუდი მხარეები დაკვანძვა შეგვეტეობია, რომ ეოტა ქარაფშუტა ყმაწვილია და ცდილობს, რაც არ არის, ითათ შემოგვატეუოს თავი. ის მკითხველი, რომელიც ყოველ ნაწარმოებში ხელმძღვანელ იდეას ეძებს, ამაოთ დაიწყებდა თავის მტერეეას დ. ეინ იცის, ამ პოემას რა იდეას ჰრ დაამისებდა. ჩვენს ახრით პოეტს არავითარი იდეის გატარება არ ჰქონდა სახეში; მას მხოლოთ უნდოდა, დაეხატა გუდგატეული პატრიოტის ტიპი, როგორ რაც ის თანაუგრძნობდა. ახლა ეს ეიკითხოთ, როგორია მისი გმირი და როგორ შეასრულა პოეტმა თავისი მიზანი?

პოეტს რომ რაშიდი პატრიოტულის გრძნობით არ დაეჯილდოებია, იმ გრძნობით, რომელსაც მამის ძალიან მაღლა აყენებდა და ურომლისოთაც არავის ადამიანის სახელის ტარებას ღირსა არ თვლიდა, პოემის ზოგიერთი ალაგები [1]) რომ არ გვმტკიცებდენ, რომ მამა რაშიდში მკრეოდენთაც თავის თავს გულისხმობდა, მაშინ ყოველ ეჭეს გარეშე იქნებოდა, რომ მამიას სურდა დაეხატა ჩვენთვის ქარაფშუტა, მამულის სიყვარულზე შეშლილი კაცის ტიპი. ზემოთ აღნიშნული მოსაზრება კი ყოველ ეჭეს გარეშე გვეოფს, რომ მამიას თავისი რაშიდი უყვარდა, მოწონდა და, თუ დაეკიხატა იმ მიზნით, რომ ჩვენც შეგვეკვარებოდა და გვეხილა მასში ნამდვილი სომპატიური მამულის შვილი. სამწუხაროთ მამიამ თავის მიზანს ვერ მიაღწია: მისი რაშიდი ერთობ სუსტი და საბრალო გამოვიდა. ეახვეულა ჩაილდპაროლდის ქუჩაში, რომ „დარბაისელს, ბრძენს, გამოცდილს“ დამეზაეესოს და ცდილობს, თავისი თავი სოფლისა და ბედის მომფურავეთ გვაჩვენოს. სარკეში რომ ჩაეხედა, უსათუოთ დაინახავდა, რომ ჩაილდპაროლდის ტანისამოსი მას სრულებით არ უხდებოდა. როდესაც ადამიანის გულში შინაგანი ძრწოლაა, სეედას დაუსადეურება, მაშინ ამგვარი პირის სახე და ენა ერთმანერთს თავის თავათ, ძალა დაუტანებლოთ ეთანხმებიან. ამგვარი ადამიანი, ხშირათ უნებურათაც, თავის ნალაპარაკეეში თან ატანს ნაღველს და სეედა-ეარამს და მისი სიტყვებიც გმოტაცებსთ, რომ მისი სახის გამომეტყველება სკენიური ხელოვნური კი არ არის, არამედ ბუნებრივი შედეგია მისი ფსიხოლოგიური მდგომარეობისა. რაშიდის ენა კი მისი სახის მეტრია, ყოველ ნაბიჯზე მას ამტყუნებს. როცა რაშიდის სახე სოფლის მომფურავობას ჩემობს, ენა გვეუბნება: არ დაუჯეროთ, რაშიდს, ძალიან მოწონს დროს ტარება, ქეიფი და განცხრა-

[1]) XXXV თავი და რაშიდის სიმრავლეში მიგეგმ, რომელიც ბოეტის 80 ᲬᲚᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲨᲘ ᲛᲝᲒᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡᲐ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ: (დასასრული). ᲯᲣᲠ ᲨᲣᲠᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ.

მა, ხოლო თქვენი მოტყუება უნდაო. რაშიდი ცდილობს ამგვარი ხერხით მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს მაყურებელზე, მაგრამ ეისია პირველ შეხედვაზედვე ატყობს, რა გორის ნაცარიც არის და ეუბნება:

სულ არ გეტყობა
შენ ამა ქვეყნის მომდურაობა.

რაშიდი ფიქრობს, ალბათ დამაკლდა, ცოტა რომ კიდევ მოვიჭმუხვნო წარბები და ცხვირი ჩამოვუშვა, მაშინ კი შემეტყობაო; ხმას გაიკმენდავს და „სევდების ჩრდილით“ სახეს მოიბურავს. როცა ამითიც ვერას გახდა, გადაწყვიტა, მოდი ერთი ჩემს თავსაც ვუქებო, და, როგორც პოეტმა თითქმის ძალადობით გაასალა ჩვენებასთან ფიცი, ისე რაშიდსაც სულმა ველარ მოუთმინა და, თუმცა ეისიას სრულებით არ უთხოვია, სიტყვაში გამოურია:

ვარ... მეოდნე ბედის ამბების
და, თუ მიბრძანებ, გიამბობ რასმე.

ეისიას, რომ თანხმობა არ გამოეცხადებია, მისი ცოდვით წაწყმდებოდა. აუშვა რაშიდმა ენა, ხან ოსმალურათ მოჰყვა, ხან ჩერქეზულათ, გაიგეთ, რომ სხვა-და-სხვა ენები ვიცოო; მაცდურათ და მოხერხებულათ „თქმის საგნებსა ცვლის“. ასე ილაპარაკა თუ არა რაშიდმა მთელ ერთ ღამეს, არ ვიცით, ხოლო მეორე დღეს ჩვენ ვეპეტაეთ მას და ეისიას მუხას ქვეშ, სადაც რაშიდი მას თავის თავგადასავალს უამბობს და თავის თავს საარაკო დევგმირათ უსახავს:

გატეხილი ბეჭდ და ცხენსა
ერთის შემოკვრით გავორებდი.

ასე ხომ ტარიელიც არ კვეხულობდა, თუმცა მან ბევრგან საქმით დაგვიმტკიცა გასაოცარი ვაჟკაცობა, რაშიდი კი ცალიერის სიტყვებით გვიმტკიცებს. შეგვატყობია მთელი თავისი წარსული, რომელიც ომისა და განუწყვეტელი ქეიფის მეტს არას წარმოადგენდა; დაგვარწმუნა, რომ ქეიფობაში შეენიერი „ძმა-ბიჭი“ იყო, ამა სოფლისა ცხოვრება და განცხრომა ძალიან მოწონდა; უბრალოთაც არსად წამოცდენია, რომ „შავებედს ეწამებიოს“; გაათავა თუ არა მოთხრობა, გაახსენდა, რა როლსაც თამაშობდა და გაბა ღრიალი:

სიყრმიდამ შავებედს გეწამებიკარ
და ვერ ვახერხებ, თავი წავაგო.

ახა ღმერთო! ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირვებსო, სწორეთ ეს არის, თუ ვნებავსთ: რაც არ მომხდარა, იმას იგონებს, რომ თავი სხვანაირათ გვაჩვენოს, თავის სვედიანობაში დაგვარწმუნოს; ფაქტები ხელთ ექნებოდა და ის დაავიწყდებოდა?! შემოიგლიჯა ტანისამოსი, ალბათ მიტომ, რომ თავისი „გასილილი სპილოს მზგავსი ნასხმებით“ ეისია გაეოცებია, მოახტა გადარეულსავით ცხენს და ჰაიდა! რაშიდის ამგვარი მოქმედება სრულიად გაუგებარია და იმას ამტკიცებს, რომ მან ყველაზე უმალ პოეტი მოატყუა: მამიას მართლა ჩაილდჰაროლდისებური ტიპის გამოყვანა უნდოდა, მაგრამ რა ექნათ, რომ ბუნება მეტათ უსამართლო და ახირებულია: დიდი პოეტის კალამი მის ნიჭზე მაღლა დგას, პატარა პოეტის კალამი კი დაბალ ნიჭზე კიდევ უფრო დაბალია და მის ფანტაზიაში გამოხატული სუსტი გმირი ქალალდზე ნამდვილი მასხარა გამოდის. „დამოკიდებულება პოეტსა და მის გმირებ შორის ის პუნქტია, რომელზედაც უნდა გამოაშკარავდეს ყოველი მისი სუსტი მხარე, როგორც ადამიანის, ანუ როგორც ხელოვანისო“, ამბობს დანიის კრიტიკოსი ბრანდესი. და მართლაც ამგვარი პუნქტები ღალატობენ მამიას და გვიმტკიცებენ, რომ მისი ხელოვნება სუსტია; მას შეუძლია ხან-და-ხან შეენიერათ აგვიწეროს ბუნება, როგორც მაგ. „კარჩხალის მთები“, მაგრამ, რაც შეეხება გმირების დახასიათებას, აქ სრულიად უძლურია და ამიტომაც მისი პოემები ძალიან სუსტი და უფერული არიან. მთელი ეს უკანასკნელი პოემა და განსაკუთრებით XVIII თავი ამტკიცებს, რომ პოეტს რაშიდი მართლა „მძინარე ლომათ“ მიაჩნია, მოწონს; მასში კი, როგორც დავინახეთ, მოსაწონი მცირეოდენიც არაფერია; ის სიბრალულს კი გამოიწვევს მკითხველში, მაგრამ თანაგრძნობას ნურავისაგან ნუ ელის. რა არის ამის მიზეზი? ერთი—თვით ბუნება რაშიდის: ის არის უხასიათო, ქარაფშუტა, ჭკუამჩატე, თავისთავის შესახებ დიდი აზრის მექონე; ეისაც კი შეხვდება ინდოურიეთ ეჩინჩახვება; ასე ჰგონია, ქვეყანა ჩემზე ტრიალებს და, მე რომ არ დავბადებულიყავი, რაღა ეშველებოდაო. რაშიდობას, მგონი ძალიან, ცოტა ინატრებს; მკითხველს კი ყოველი გმირი მხოლოთ მაშინ მოწონს, თუ მასში ხედავს თავის მზგავსებს, ან ისეთ ადამიანს, რომლისთანაც უნდა, რომ იყოს, რომელსაც ჰბაძავს, შენატრის. მეორე—რაშიდის პატრიოტიზმი დაობებულია, ძველი და არა თანამედროვე ცხოვრებისაგან წარმოშობილი; თანამედროვე ცხოვრების მსვლელობა რაშიდს არ ესმის. როდესაც ჩვენი მეთაურები დიდიხანია, გვეუბნებიან: საქართველოში ამდენი საკეთებელი და მასთან ნაყოფიერი მადლიერი საქმე არაოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს არის; მოდით და, თუ კეთება გინდათ, აი, ეს აკეთეთ, აი, ესო, რაშიდი გვარწმუნებს, სამშობლო უზომოთ მიყვარსო, ამავე დროს წუწუნებს: „სამშობლოსაც არად ვარგიეარ, მძლავრი მკლავები მის შესაწევნათ ვერ მიხმარიაო“ და გაიძახის: „სისხლი მწყურია შარბეთის ნაცვლათო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით ის გვიმტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრების ვითარება მას არ ესმის, ვერ შეუგნია; ჰგონია, თუ ისევ ძველებურ პატრიარქალურ ხანაში დგას საქართველო, როცა მარტო მძლავრი მკლავები იყო საჭირო და მამულის სიყვარული დაღვრილი სისხლის რაოდენობით და დაკრული მუშტის სიმძიმით იზომებოდა, ახალ ცხოვრებაში მარტო რაშიდის მკლავები ველარაფერს ხდება; მას ამის მიზეზი არ ესმის, სასოწარკვეთილებაშია და უკვირს. წინეთ თუ ვარგებდი სამშობლოს მძლავრი მკლავებით, ახლა რატომ აღარ ვარგივარო. ამისთანა კაცს ჩვენ ვერც უკან გავყვებით, ვერც თანაგრძნობას გამოვუცხადებთ, ვერც მოვიწონებთ, დარიგებით კი ასე დავარიგებთ: ჩემო რაშიდ, აქამდის სალათას ძილით გძინებია; თუ მამული გიყვარს და გინდა, მას ემსახურო, ჯერ კარგათ შეიგენი, როგორი სამსახური ეჭირვება დღეს მამულს და შემდეგ საქმესაც იშოვნითქო. ჩვენი ცხოვრება იმისთანა აღარ არის, როგორიც შენ გგონია; საკეთებელი ბევრია, ხოლო სხვაგვარი საკეთებელი; შენი წუწუნის მიზეზი კი ის არის, რომ ჯერ ვერ გამოფხიზლებულხართქო.

მამიას მიმდევარი თანამედროვე ქართულ მწერლობაშიაც ბევრი ჰყავს. საქართველოს ახლანდელ ცხოვრებაზე დამაპატარავებელი შუშით მზერა, აწმყოს კრულვა და ქოლვა, წარსულის ხვნეშით და ოხვრა-კვნესით მოგონება ჩვეულებრივი ტემაა ზოგიერთი ჩვენი ხელმოკლე მოლექსეებისა, რომლებიც თანამედროვე ცხოვრებას ემდურიან და ამ ცხოვრებას კი იმდენათ იცნობენ, რამდენათაც რაშიდი.

რომ ცილი არ დაგვწამონ, აქვე ვიტყვით, რომ ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ პატრიოტულ ლექსების მნიშვნელობას. მარა ისეთ პატრიოტული ლექსებისას, რომელიც წინ გვითითებს, მომავალს უგალობს და არა უკან იხედება და წარსულს შეტირის. მეორე მომქმედი პირი „რაშიდ ვარდანოლლ“-ში არის ვასია. თავიდან ბოლომდე ამ ქალის ხასიათი გასაოცარი და გაუგებარია. ერთ ალაგას რომ ერთნაირათ დაგვიხასიათებს მას პოეტი, მეორე ალაგას სრულიად სხვანაირათ; როგორც თვითონ ნებავს პოეტს, ისე ალაპარაკებს და ამოქმედებს, მაგრამ ვისიას ძით შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ მამიას ყველა გმირი მასთან ერთ ტაფაში იწვის: როგორც მამიას ნებავს, ყველა ისე ირჯება. თავში ვისიას პოეტი ასე აგვიწერს.

ქალი წყეული,
იმისი მზგავსი არა არს ცაში,
არც ჯოჯოხეთში მისებრ გრძნეული.

მისი სილამაზის სახელი შორს იყო გავარდნილი.

ჩვეულნი ვაჟნი ქართლ-კახეთადმ.
იმერ-აფხაზთა გმირნი, მესხეთის,—

სულყველა მასთან მოისწრაფოდა, ვისია ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ისინი ტრფობის ალით დაეტანჯა და მათი გული სამუდამოთ დაემორჩილებია, მხოლოთ იმისათვის, რომ

ამით დროს კვლიდა, შექცეოდა,—
თორემ გრძნობები წმინდისა ტრფობის,
მის გულს ვერ ოდეს შეეხებოდა.

ამისთანა ადამიანს პოეტი ამას შემდეგ „ჯერ განურყვნელ წმინდა სულს“ უწოდებს! ან მამიას დროს „განურყვნელი წმინდა სული“ სრულიად სხვა მცნებას აღნიშნავდა, ანარა და ვისიას ხასიათი თვით პოეტმაც არ იცის კარგათ, და ჩვენ როგორღა გაგვაგებიებს? წარმოიდგინეთ, ამდენ გამოჩენილ გმირებში ვერც ერთმა ვისიას გული უბრალოთაც ვერ გამოიხმაურა, თორემ სიყვარული-კიდევ მადლობა ღმერთს. ვისიასათვის ყველა ერთი იყო, ყველას განურჩევლათ უხვდებოდა, რადგანაც მხოლოთ დროს მოკვლა და შექცევა უნდოდა; მათი ტანჯვა მას სიცილათაც არ ჰყოფნიდა: რაშიდის მოსვლა რომ მას გოგომ შეატყობია, ვისიამ იფიქრა, შეიძლება რომელიმე სახელგანთქმული ჭაბუკი მოვიდა „ჩემი გულის ტყვეთ მოსატაცებლათო, და შემდეგი დასძინა ხარხარით:

ეს თუ ნამდვილათ მან განიზრახა,
საბრალო, ოჰ რა ტყვილად შეცდება!

ამას შემდეგ აშკარაა, რომ ვისია არა თუ ახირებულათ არა ვის იყვარებს, პირ-და-პირ—მის ბუნებას სიყვარული არ შეუძლია. როდესაც რაშიდს მიიღებს და ემუსაიფება, მის ლაპარაკში ნათლათ გამოსჭვირს რაღაც დამცინავი კილო და თავის უპირატესობის გრძნობა; ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ის გამჭრიახი გონების ქალი იყო, საუკეთესო ვაჟკაცების ბუნება შესწავლილი ჰქონდა და მალე შეამჩნია, რომ დერვიშის ტანისამოსი, დაღვრემილი სახე, ვითომც ფილოსოფოსობის გამოსახატავათ, სოფლის მომდურაობა,—რაშიდს არ უხერხდებოდა. რასაკვირველია, რაშიდი ვერავითარ შთაბეჭდილებას მოახდენდა იმისთანა ქალზე, რომელსაც მთელი საქართველო-აფხაზეთის საუკეთესო გმირები გულმოკლული გაუსტუმრებია. მიუხედავათ ყოველივე ამისა, სწორეთ სასწაული ხდება: ვისიას რაშიდი შეუყვარდება,

თავბრუ ესხმება;
ცოტა უკლია გულის წასვლამდის.

ენა ებმება, ცალცალკე გადაუბმელათ ლაპარაკს

იწყებს, ხმა უსუსტდება, სრულიად იცვლება, გონებას ჰკარგავს!.. არა, პოეტს არ ესმის თავისი გმირების ხასიათი, იმორჩილებს მათ და, როგორც ენებება, ისე ამოქმედებს; მოინდომა პოეტმა, რომ ვისიამ რამიდი შეიყვაროს და საბრალო ვისიაც იყვარებს. მამიას არ რწამს ის ჭეშმარიტება, რომელიც ყოველი მწერლისათვის მცნებას უნდა შეადგენდეს: მწერალი უნდა ემორჩილებოდეს მომქმედ პირებს და არა მომქმედი პირები მწერალს.

იგ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

მგზავრის შენიშვნები

ლუდი.

საღამო ხანია. მაღაზიიები ეს-ეს არი დაიკეტა, კანტორებში და ზავოდ-ფაბრიკებში მუშაობა შეწყდა. ქუჩებში ჩვეულებრივზე მეტი მოძრაობაა. ქალების ლაშქარი მაღაზიებიდან მოდის. მათი ჟრიამული ქუჩებს სულ ერთიანათ აცოცხლებს და ფერს უცვლის. ხედავთ ერთი დიდი შენობის წინ ხალხი შეჯგუფულა; ყველა კარებს აწვება და ჩქარობს სახლში შესვლას. ყველას მოუთმენლობა ეტყობა, ჩვეულებრივ დინჯი და აუჩქარებელი გერმანელი აქ თავს ველარ იჭერს, ჩქარობს, სხვებს გვერდებს აგლეჯს და ისე გამწარებული სიჩქარით შედის კარებში. რა ამბავია აქ? უნდა გავიგოთ.

შიგნით კარებთან რამდენიმე ბილეთის გამყიდველი დგას. ბილეთების ძლევას ვერ აუდიან. იღებთ თქვენც და იხდით 20 ჰფენინგს (10 კაპ.) აქ კი ალაჩ იცით, საით წახვიდეთ, ზევით თუ ქვემოთ კარები აირჩიოთ. ხალხი იქითაც მიეშურება და აქეთაც. ისევ ქვემოთ შესვლა ჯობს. კიბეს რომ აჰყვეთ ზევით, უეჭველათ ვინმეს მუჯლუგუნი გაგიტანსთ. ქვევით შესვლა უფრო მშვიდობიანია. აღებთ კარებს, შედიხართ შიგნით და ხედავთ, რომ ვეებერთელა ზალა სტოლებით გაჭედილია. ყველა სტოლებთან ალაგი უკვე დაუჭერიათ, ხალხის ტევა აღარაა. ბევრ ძებნას შემდეგ ერთ დაუჭედელ სკამს შოულობთ და სტოლის ერთ კუთხეს უჯდებით, ზალა სულ ერთიანათ დანისლულია. ყველაფერი თუთუნის ბოლის ღრუბელს მოუცავს. სული გიგუბდებათ, თვალებიდან სიმწარის ცრემლები გადმოგდისთ, თვალების მოწმენდა და მიფშვნეტ-მოფშვნეტა არ მოგისწრიათ, რომ ხედავთ—ერთი ლიტრა ლუდი, თიხის ჭურჭელში ჩასხმული, უკვე წინ გაქვთ დაყუდებული. ამისთვის თქმა არ დაგჭირვებიათ, როგორც კი სტოლს მოუჯექით, მაშინვე კელნერინმა მოგიტანათ. მუზიკა უკრავს, ანუ უკეთ გრგვინავს. ოთხი ათასი ადამიანი არის, ხმას აყოლებს, მღერის. ზოგი ჰიხვინებს, ზოგი გამწარებულათ ტაშს ცემს. სწორეთ ბაბილონის არეულობაა! თქვენ გვერდით მჯდომი სახე გაბრწყინვებული მეზობელი ხმა მაღლა Prosit! (ალავერდი!) გეძახისთ და ბოჭკას, რომელსაც აქაურათ Masse-ჰქვია, პირზე იყუდებს და ძირს ზეცას დაანახვებს... მუზიკის ხმა უცებ წყდება და გაისმის დაუსრულებელი ტაშის ცემა და Famos!-ვაშას ძახილი... ყველა ეს ამბები აქაურ ლუდხანაში წარმოებს.

ყავახანა და ლუდ-ხანა—ეს სულ სხვა-და-სხვა გვარი და სრულიად თობი ალაგია. ყავახანა, ასე ვთქვათ, უფრო არისტოკრატული დაწესებულებაა. ამის შენობა უფრო ლამაზია, უფრო პატარა და კოხტა და გასართობათ უფრო მოწყობილი: ბილიარდი, ჭადრაკი, ბანქო, კელნერინი, ჟურნალ-გაზეთები... ლუდხანის მოწყობილობა მეტათ ღარიბულია. ეს არის დიდი შენობა, ვთქვათ თფილისის ქართულ თეატრზე უფრო დიდი; შიგნით იატაკი სულ სტოლებითაა მოფარული. სტოლები სრულიად უბრალოა, გაფხეკილი, სუფრა გადაუფარებელი; ასეთივე სკამები, კედელი ქაღალდ გაუკვრელი, არც სურათები, არც მიუნხენური სილამაზე.

რა იზიდავს აქ ხალხს? უპირველეს ყოვლისა ლუდი. ლუდი, რასაკვირველია, ყავახანაშიაც არის, მაგრამ ლუდხანის ლუდი უკეთესია. ეს არის frisches-Bier, როგორც აქ ამბობენ,—ზავოდის საწყობიდან ახლათ გამოტანილი ლუდი. საღამოს, როცა ხალხი ლუდხანაში დენას იწყებს, აგრეთვე იწყებს დენას ზავოდიდან ლუდის ბოჭკებიც. შეუწყვეტელი ზიდვაა. ლუდხანაში ადამიანი ბოჭკას ეჯიბრება და ამარცხებს კიდეც: ცლის და ცლის დაუბოლოვებლათ...

მიუნხენელს ლუდი უყვარს და ამ სიყვარულში ის არც გაიმტყუნება. აქაური ლუდი ისეთი ტკბილი და გემრიელი სასმელია, რომ, ძალიანაც რომ გძულდეს, მაინც შეგიყვარდებათ და მტერი მის მოყვარეთ გადაიქცევით. მიუნხენი სხვა-და-სხვა გვარ ლუდს ამზადებს და ერთი რომელიმე „სორტი" მაინც მოგეწონებათ. არის ლუდი შავი, თეთრი, ყვითელი, თხელი, სქელი, საზამთრო, საზაფხულო, არის Bock—ჩვეულებრივზე უფრო მაგარი ლუდი. შეგიყვარდებათ, მაგრამ მიუნხენელს, რასაკვირველია, მაინც ვერ დაუტოლდებით. ის საფუძვლიანათ სვამს. ქალები საზოგადოთ კაცებზე ნაკლებს სმენ. ერთ ხელობათ ქალი დალევს 3—5 ლიტრას, თუ მოინდომა რვას და ათსაც, მამაკაცი კი ათს, თუთხმეტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცს და ოცდა ხუთსაც. მაინც არ ითვრება, მხოლოთ მხიარულ დება. ამ ზომამდე გადაკრული მიუნხენელი ჩხუბს და დავიდარას არ ახდენს. ის ზის ერთ ადგილას და მოქეიფეთა ლექსებს მღერის, ანუ უკეთ ღრიალებს:

Wer niemals einen Rausch gehabt,
Der ist kein rechter Mann.
Wer nicht liebt Wein, Weib, Gesang,
Beeibt ein Narr sein Leben Lang.

(ვინც არას დროს არ დამთვრალა, ის არა-კაცია. ვისაც არ უყვარს ღვინო (უთუოთ უნდა იყოს: ლუდიო), ქალი, სიმღერა, ის მთელ თავის სიცოცხში სულელი დარჩება).

მხოლოთ ამგვარი სიმღერა დიდ ლუდხანებში აკრძალულია. იქ დადიან არა მარტო მოქეიფენი, არა მარტო მამაკაცები, არამედ ბევრი და ძალიან ბევრი ქალებიც. გარდა ამისა დიდ ლუდ ხანებში ყოველთვის მუზიკა—კონცერტია და ამიტომ ბახუსის მოტრფიალეთა ლექსების მღერა მოუხერხებელია. შეხურებული გერმანელი იქ მხოლოთ ძროგამოშვებითი ჭიხვინით და ტაშის ცემით კმაყოფილდება. მოქეიფეთა სიმღერებს მაშინ მოჰყვება, როცა პატარა სამიკიტნოშია სადმე. იქ მას კონცერტი აღარ აქვს და თვითონ ისრულებს ამ დანაკლისს.

მეორე საგანი, რომელიც მიუნხენელს ლუდხანაში იზიდავს, არის კონცერტი, მუზიკა. მუზიკა მას ძალიან უყვარს, იგი მეტათ ესტეტიკის მიმდევარია. უმუზიკოთ მას არც ჭამა არც სმა არ იამება. როცა მუზიკა ესმის, მის სახეზე განუსაზღვრელი სიტკბოება, განუსაზღვრელი ბედნიერება გამოიხატება. ძალიან ღარიბი უნდა იყოს ოჯახი, რომ სახლში ერთი ფორტოპიანო არ ჰქონდეს და თავის ქალიშვილს მუზიკის დაკვრას არ ასწავლიდეს. გერმანელს საზოგადოთ და მიუნხენელს განსაკუთრებით მუზიკა ისე უყვარს, რომ ამისთვის საჭმელსაც დათმობს. მუზიკა სულერთია, როგორიც იყოს, კარგათ თუ ცუდათ შესრულებული, მწყობრი თუ დისსონანსებით სავსე,—ამას ის არ დაგიდევს. მხოლოთ მუზიკა კი იყოს,—ეს არის თავი საქმე. ჭიხვინიც ერთგვარი მუზიკაა ..

მაგრამ მიუნხენელმა იცის, რაც შეიძლება, ბევრი ჭიხვინი და ღრიანცელი. ის შვრება ამას, როცა ქეიფობს, დროს ატარებს, სიამოვნებს. როცა საქმეს აკეთებს, როცა მსჯელობს ან მსჯელობას ისმენს, ის მეტათ დინჯი და ჩუმია. ის ასეთ შემთხვევაში სრულიად იცვლება. ლუდი მას აქ ველარ აცდენს და საზოგადო წესიერებას ვერ დაარღვევინებს.

ამის ცხადათ მაჩვენებული მაგალითი აქაური პოლიტიკური კრებაა. ესეც ლუდ-ხანაში ხდება. ორი კვირით ადრე მუშების გაზეთი აცხადებს, რომ ამა და ამ დღეს ლიბკნეხტი ილაპარაკებსო და მუშები უნდა შეიკრიბოთო. კრება იწყება საღამოს რვა საათზე, მაგრამ დანიშნულ დღეს ხალხი უკვე ხუთი საათიდან დენას იწყებს. რვა საათზე უზარმაზარ ლუდხანაში სკამს ველარ იშოვით, სულ ერთიანათ გაჭედილია ხალხით. ექვსათას მუშას მოუყრია ერთათ თავი. მეტის შენობაში მოთავსება აღარ შეიძლება და გვიან მოსული ხალხი შიგ რომ ველარ შედის, ისევ უკან ბრუნდება. ბევრს შიგ სკამი რომ ველარ უშოვია, ფეხზე დგას. წინ ყველას ლუდი უდგას,—ეს აუცილებელია. გამოჩნდება ლიბკნეხტი და ლუდ-ხანის კედლები ნძრევას იწყებს. ექვსი ათასი მუშა ტაშს უკრავს და ურას იძახის. გგონიათ, ეს არის ხალხი გრძნობამ გარტაცა, გადმოვა და სულ ერთიანათ დალეწს მის წინაალმდეგ მომართულ წესწყობილებასო... მაგრამ მუშათა მოძღვრება და ლტოლვილება გრძნობაზე არაა აშენებული. უცებ სიჩუმე ჩამოვარდება და მუშებისთვის თავდადებული დეპუტატიც ლაპარაკს იწყებს. ლიბკნეხტი მოხუცებული კაცია, 72 წელიწადი უკვე შეუსრულდა, ხმა მაღლა ლაპარაკი აღარ შეუძლია. ნელი ხმით ლაპარაკობს და არც ერთი მისი სიტყვა არ იკარგება, ისეთი სიჩუმე და ყურადღებაა, რომ ბუზის ფრენას გაიგონებთ. ყველას თავები აულიათ და პირიდან სიტყვას ტაცებენ ხალხის მხსნელ მოძღვრების მქადაგებელს. მხოლოთ შიგა და შიგ გაისმის sehr riehtig! sehr gut! და თანაგრძნობის ნიშნათ ტაშისცემის გრიალი. მთელ ორ საათს ლაპარაკობს ორატორი და წეს-რიგის დამრღვევი ექვს ათას კაცში ერთიც კი არ გამოდგება, თუმცა ლუდის ჭიქები აქაც სულ იცლება და იცლება. ასეთია აქ საქმის მნიშვნელობის შეგნება.

როცა საჭიროა, გერმანელს ლუდი საქმის გაკეთებას ვერ უშლის, მის ნებას ვერ იმორჩილებს და თავს ვერ ავიწყებინებს. მუნხენელი ხან ბევრს სვამს, ხან ცოტას, მხოლოთ სმით კი ყოველთვის სვამს. ყოველ საქმეს ის ლუდით იწყებს და ლუდითვე ათავებს. თეატრში არის, კონცერტსა თუ ოპერას ისმენს, კრებაზეა და სიტყვას ამბობს, თუ ისმენს, მუშაობს თუ არა, ყველგან მისი განუშორებელი ამხანაგი ლუდის ჭიქაა. ეს ჭიქა მუდამ ებრძვის ლუდის მთავარ აუზს, აკლებს და აკლებს, უნდა დაცალოს, მარა აუზს მაინც არა აკლდება რა, ის ყოველთვის სავსეა, დანაკლისის მაგიერი ყოველთვის ემატება. აქაური ლუდის წყარო დაუშრეტელია.

ამ წყაროს სათავე ქალაქს გარეთ აქვს და თუთხმეტიოდე დიდი ლუდის სახდელ ქარხნისგან შედგება. ამათი სახელებია: Lövenbrau, Augustiner braue-

ეროვნული ბიბლიოთეკა

rei, Bierbrauerei zum Franziskanerkeller, Nackerbrau, kgl.-Hofbrau, Bürgerbrau Salvatorbrauezei და სხვ. აქაურ ლუდისხდის საქმეში მრავალი მილიონები ტრიალებს და წარმოება მეტათ ფართე ნიადაგზეა დაყენებული. მაგ., Lövenbrau-ს ქარხნის თანხა ექვს მილიონამდეა. ეს ქარხანა 1872 წლამდის კერძო კაცის ხელში იყო, ამ წელს შედგა სააქციონერო საზოგადოება და ზავოდი შეიყიდა. ამას შემდეგ ზავოდის წარმატება საკვირველი სისწრაფით წავიდა. ზავოდს აქვს უზარმაზარი შენობა, საცა მრავალი მაშინების შემწეობით ლუდი იხდება. ჰყავს დაჭერილი ექვსასამდე მუშა. აქვს გამართული იქვე მუშებისთვის სადგომი სახლი. ჰყავს თავისი ცხენები, დროგები, აქვს სარდაფები, საცა ახალი გამოხდილი ლუდი ინახება, სანამ დადუღდებოდეს. აქვს აგრეთვე საკუთარი ლუდხანა, რომელსაც იგივე სახელი აქვს, რაც ზავოდს. ჰყავს თავისი საკლავი, ამიტომ ხორცი ნაკლებათ უჯდება და ამისგამო ლუდხანაშიაც საჭმელი შედარებით იაფათ იყიდება. ზავოდი გზავნის გამოხდილ ლუდს ევროპის ხმელეთის ყველა ქვეყნებში. სახელმწიფოს შეუდის მარტო ამ ერთი ზავოდისგან რკინის გზის ფრახტის ფული ერთი მილიონი მარკა წლიურათ. ამდენივე სარგებლობა ეძლევა ქალაქს. ეს ზავოდი ცნობილია ყველგან მთელ დედამიწის ზურგზე. მისი ლუდი ევროპის გარეთაც იგზავნება, მაგალ., კანადაში, მექსიკაში, სამხრეთ ამერიკაში, აღმოსავლეთ და დასავლეთ ინდიაში, ჩინეთში, ეგვიპტეში, ოსტ და ვესტ აფრიკაში და სხვ. მხოლოთ ზღვაზე გადატანის დროს ლუდი ბოჭკებში ფუჭდება და ამიტომ ამ ქვეყნებში ზავოდი ლუდს ბოთლებით ჰგზავნის. ზავოდს მიუღია ოქროს მედალი 1882 წ. ბავარიის გამოფენაზე, პირველი პრემია 1884 წ. ჰანნოვერში, საპატიო მოწმობა 1835 წლ. ანტვერპენის მსოფლიო გამოფენაზე, აგრეთვე 1889 წ. კელნში და სხვ. ზავოდი წელიწადში 4 მილიონ ჰექტოლიტრა ლუდს ჰხდის. ამ რაოდენობიდან, რაც ზემოხსენებულ ქვეყნებში გაზიდვას შემდეგ რჩება, ის თვით მიუნხენში იხარჯება. მიუნჰენის მხვედრი წილი ცოტა არაა, ეს უშველებელი მორევია, რომელშიაც მთელი მიუნხენი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ცურავს...

მხოლოთ ამ ცურაობის დანახვა ლუდხანაში არ შეიძლება. ლუდხანის შენობა თუმცა დიდია, მაგრამ იქ მაინც მთელი მიუნხენის ქალი და კაცი ვერ დაეტევა. ამისთვის საჭიროა ნახოთ აქაური დღეობა. დღეობაზე ცურვაც არის და ყვინთვაც...

ფ. პატრიშვილი.

ეს ძველი ფულია.

(ვუიდვნი სილოვანს)

(დასასრული) *)

ქალები რომ ამგვარ სამწუხარო ბაასში იყვენ, ოთახის კარები გაიღო და ცხვირი შემოჰყო ერთმა ძონძებში გახვეულმა მაღალმა სურათმა.

— შემოდი, კაცო! შემოდი და კარები მიხურე. მიაძახა მას მწერალმა.

მაღალი სურათი დაიძრა. წინ დიდი ყავარჯენი შემოიძღოლა, რომელსაც ორივე ხელებით დაებჯინა და ფეხები ისე—მოტეხილებსავით გადმოათრია დაბალ საძირკველზე.

— ოჰ! მოდი, მოდი, წყალობა, ბუხართან. მიაძახა მოხუცს მამასახლისმა.

— მშვიდობა თქვენთან, ბატონებო! წაილუღლუღა მოხუცმა და, ცახცახით მოვიდა ბუხართან.

— წყალობა! შენ რაღამ მოგიყვანა შინიდან? ჰკითხა მამასახლისმა.

— შინე ქვე სადა მაქვს, შენი ჭირიმე! შინე თუ მქონდეს, ახლა მე აქ რა მინდა! ამ ზამთარში აგერ ჩემი დათიესას ვაგდივარ ააშენა ღმერთმა, სამადლოთ ჭადს მაჭმევს, მარა სირცხვილი მწვავს, რომ ამისთანა გაჭირებაში მაგას ვაწუხებ... ახლა იმიზა გიახელით, რომ რამე სამართალი მაღირსოთ. სიმინდი მაინც მომცენ იმ ღვთისაგან შეჩვენებულებმა, ჩემმა შვილებმა. ჩემ ნაკვდავ ნაცოდილებ ოჯახში არ მაყენებენ შვილები და დათია რა მოვალეა რომ მარჩინოს. ნუ თუ თქვენი სამართალი ასე ყოფილა, რომ რაკი კაცი დაბერდება და სოფლის სამსახური არ შეუძლია, შვილებმა უნდა გადააგდონ.

— ასეა ჩემო, წყალობა! ასე. „კალონი“ ამბობს: ოჯახის უფროსობა იმას უნდა ჰქონდეს, რომელსაც ხელმწიფის და სოფლის სამსახური შეეძლებაო.

— ხო და! უბედურება ეგ არის, მართებულობის პირი რომ მაგას იტყვის, სხვას რაღა მოვთხოვო. იმიტომაა, რომ უმცროს-უფროსობა აღარავის ესმის. თქვა სასოწარკვეთილებით წყალობამ და დასუსტებულმა ჩაიკეცა იქვე-ბუხრის წინ იატაკზე.

— ნუ წუხარ, ჩემო წყალობა! განაგრძო ლრეჭით მამასახლისმა უფრო ტკბილი ხმით, რა კი დაინახა, რომ მისი „კალონები“ არაფრათ ესიამოვნა მოხუცს: – აგერ ვინცხა შავიანი ქალი მოდის და იმასაც შენთან დაავაჯენ.

მოხუცს მამასახლისის უადგილო ლაყბობისა·

*) იხ. „კვალი“, № 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ყურადღება არ მიუქცევია. ის თავჩაკიდებული თავისთვის ბუტბუტებდა:

— „კალონი, კალონი!“ თქვენი „კალონი“ ის არის ვინც დაგალეევინებთო.

მართლაც ოთახში ერთი შავებში . გახვეული ქალი შემოვიდა.

— ადამიანო! შენ რამ მოგიყვანა აქ ამისთანა ტაროსში, რა დაგმართია, ხომ არაფერი გიჭირს? დაეკითხა განცვიფრებული მამასახლისი ახალ მოსულს, რაკი იცნო, რომ ის შორეული სოფლიდან იყო.

— ჩემი გაჭირვება რაღა საკითხავია, შენი ჭირიმე! გაჭირვება და გაძაღლება არ მაკლია, სხვა სიკეთე თვარა... გვეიგე ჩემ თაობაზე რაღაც ქაღალდი მოსულა და ამბის გასაგებათ გადმოვარდი.

— რა ქაღალდი მოვიდა ამ უბედურისა ივანე?

— მაგის თაობაზე?!.. ეს პელუაა —ენებიშვილის ქერივი?

— დიახ მე გახლავარ, შენი მუხლის ჭირიმე,— დაასწრო ქალმა მამასახლის: —ამას წინეთ შენ, რომ ქაღალდი გამიკეთე ეგები იმის პასუხი იყოს რამე?

პელუა არ ცდებოდა: მისდა გამოსაცხადებელათ „კანცელარიაში“ მიღებული ქაღალდი მართლაც პასუხი იყო მწერლის გაკეთებული თხოვნისა.

XII.

როგორც ვიცით ლათინას ჯვარის წერის საქმე დაიშალა, სამზითო ფულების სიძველის გამო; მაგრამ პელუას ეს დარწმუნებით მაინც არ ჯეროდა. გონს რომ მოვიდა და სტუმრები ვეღარ დაინახა, იფიქრა: —იქნება ყველაფერი ოსტატობით მიქნეს; იქნება უნდოდათ დარწმუნებულიყვენ მართლა მექნებოდა მე ამდენი ფული თუ არა. იქნება რომელიმე იმათგანმა, რომელსაც მე ქალის მიცემის უარი ეუთხარი, განგებ შემომიჩინა ეს კაცები ჩემი ოჯახის გასალანძღავათ, რაკი იციან, რომ მე პატრონი არა მყავსო.

ამ ეჭვებით გამსჭვალული პელუა მეორე დილას სოფლის სასამართლოს კარებზე იდგა და მწერლის გაღვიძებას უცდიდა.

— რა საქმე გაქვსთ თქვენ? დაეკითხა დანახვისთანავე მწერალი ქალს.

პელუამ მწერალს და იქვე მყოფ ორ სოფლის მოხელეს წინაღამინდელი თავისი თავგადასავალი უამბო და „ვადა გადასული“ ფულები, რომელიც თანვე წამოეღო უჩვენა.

ვაი შენი ბრალი! დაიძახეს ერთხმათ ფულის გაშინჯვისათანავე მწერალმა და მოხელეებმა.

— რა უბედურება მოგსვლია? განაგრძო სიბრალულით მწერალმა. —რატომ თავის დროზე არ გამოცვალე ეს ფულები?

პელუას ხახა გაუშრა, ენა ვეღარ მოაბრუნა საპასუხოთ, ახლა კი სრულიად დაჭარგა ყოველივე იმედი, და ცხარე-ცრემლის ღვრით მორთო ქვითინი.

— ნუ გეშინია,— დააიმედა ცოტა ფიქრს შემდეგ მწერალმა.— იქნება რამე გეშველოს. ეს ფული აქ დატოვე; მე მებარებოდეს ამ კაცების თანადასწრებით. მე შენ მაგიერ თხოვნას მივცემ, სადაც ჯერ-არს. შენს სისაწყლეს და გაჭირვებას დაწვრილებით ავწერ და იქნება შეგიბრალონ.

— მიშველე რამე თქვენდა სადღეგრძელოთ. წაიღულღულა უბედურმა ქალმა: თუ რამე სიკეთე იქნა, ნახევარი თქვენ მიირთვით. ჩემთვის ახლა ხომ მაინც დაკარგულია.

— ნახევარს არა და ნახარჯს კი ავაღებ, თუ რამე მოხერხდა.—თქვა მწერალმა და ფული შკაფში შეინახა.

პელუა დაბრუნდა შინ და მესამე თვე იყო, რაც გულის კანკალით ელოდა მწერლის გაკეთებულ ქაღალდის პასუხს.

ზემოხსენებულ ხუთშაბათს, მან გაიგო რომ „კანცელარიაში“ მის შესახებ, რაღაც ქაღალდი მოსულიყო. ელუამ გადაწყვიტა, ეს ფულის თაობაზე იქნება რამეო და აბა რა გული მოუთმენდა, რომ მაშინვე არ წასულიყო სასოფლო სასამართლოში, ამბის გასაგებათ, უფრო მისთვის რომ დღეს თითქო მისდა იღბლათ წყნარი ტაროსი იდგა.

პელუას სახლი თითქმის ოთხი ვერსის მანძილზე იყო სასოფლო სასამართლოზე დაშორებული, მაგრამ რაკი თხილამურებით შეიარაღებულ ფეხს თოვლი არ უტყდებოდა, ამისათვის პელუას არაფრის შიში არ ჰქონია ამ მოგზაურობაში.

— შენი ქაღალდი?... გაიმეორა რაღაც უგულოთ მწერალმა თითქოს არ უნდოდა ამ ქაღალდის არა სანუგეშო შინაარსი გაემხილა უბედური ქალისათვის.

— შენი ქაღალდი კი არის,—განაგრძო მან ყო-

ყმანით:—მაგრამ, რა გამოვიდა! სენატის დეპარტამენტი იწერება; თხოვნაზე უარი გამოეცხადოს ფულის პატრონს, რადგან დრო დაუკარგავს, და ფული კი დასაწვავათ გადაიცემისო.

ამ ამბავის მომსმენ ქალს თვალები დაუბნელდა და გონება მიხდილი კედელს დაეჯახა.

XIII.

დაღამებამდე სულ სამი საათიღა დარჩენილიყო, როცა პელუა გონს მოვიდა და დაბრუნება მოაგონდა. დაიკრა ფეხებზე თხილამურები და ბარბაცით გამოვიდა მწერლის ოთახიდან.

დაბინდებისას საშინელი ქარიშხალი ატყდა. ზამთრის სარდლებმა ცოტა ხნის შესვენებას შემდეგ გაორკეცეს თავისი მოქმედება. საშინელმა კორიანტელმა მზის ჩასვლამდე ისე დაბნელა დღე, რომ „კაცი თითს ვერ მიიტანდა თვალში". ჯოჯოხეთის განსაცდელი დაადგათ ამ დილის სიშვენიერით მოტყუებულ მოგზაურთ; ბევრი მათგანი მიახვია გაძლიერებულმა ქარ-ბუქმა თოვლში.

სწორეთ ამ დროს, ათასგვარი შავი ფიქრებით გარეტიანებული პელუა, მძიმე ავათმყოფსავით მიბარბაცობდა გატკეპნილ თოვლზე ერთ უფსკრულ ღელის პირათ. მომეტებულ ელდა მწუხარებისაგან ისე იყო გრძნობა დაკარგული, რომ როცა მას კორიანტელმა დაუქროლა, თავი ველარ შეიმაგრა და ნაფოტსავით გადავარდა უფსკრულში.

ერთ კვირეს შემდეგ პელუას მრავალწამებული გვამი მამასახლისის განკარგულებით სოფლელებმა ხეებიდან ამოიტანეს და მიწას მიაბარეს.

ასე ამ გვარათ დაეღუპა ძვირფასი მშობლები უბედურ ლათინას და დარჩა ქვეყანაზე სრულიად უპატრონოთ.

სოფლის კატი.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ" ᲤᲝᲡᲢᲐ.

ბ. მიხეილ სალარაძეს. თქვენ თითონვე გვეთანხმებით, რომ თქვენ და ოდესის სტუდენტებ შორის ამტყდარ დავაზ საზოგადო ხასიათი არ აქვსო. ამიტომ თქვენ ერცელ წერილს ვერ ვბეჭდავთ. თქვენ ამბობთ: სიტყვა „ვნანობ" არ მითქვამსო და ამის მოწმეთ ასახელებთ ბ. ა. გარსევანაშვილს, თ. მთავრიშვილს და სხ. ჩვენ გვგონია მათი მოწმობა სრულიად საკმარისია სიმართლის აღსადგენათ. ქვეეით სწერთ:

„თუ სტუდენტებს ცოტა მაინც სურვილი ჰქონდათ სხვისი ღირსების და პატიოსნების [illegible]ცვისა, რისთვის არ მკითხეს მე, როცა ქუთაისში [illegible]ოვიდენ, ის სიტყვები, რომელიც მათ გადასცა ა[illegible] შვილისამ, მართლა იყო ჩემ მიერ ნათქვ[illegible]თუ არა! ნუ თუ ამას არ მოითხოვდა წესი და რიგიო". დიახაც მოითხოვდა!...

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲒᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲒᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმისთ, და სამი განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ნაგორნი და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში, სახლი საკარდა—პოსერბსკ-სა, № 12. სწავლა დაიწყება 1-ს ენკენისთვეს.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მიხეილის ქუჩა № 32.

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

მიხეილოვის ქუჩა, № 81 სახლი, დ. სლივიცკისა. ავათმყოფებს მიიღებს დილით 8—1 ს. და საღამოთი 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

Доз. ценз. Тифлисъ, 29 Августа 1898 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, ბ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.